3) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის №23403/2006, თარიღი: 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ იური ბეტმანსკისათვის);

4) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის

№23403/2006, თარიღით 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ თამარ ფცერაძისათვის).

5) ცნობა ქონებაზე უძრავის არარსებობის შესახებ №ყად-18415/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

6) ცნობა ქონებაზე უძრავის არარსებობის შესახებ №ყად-18416/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

7) ცნობა ქონებაზე უძრავის არარსებობის შესახებ №ყად-18417/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

8) ცნობა ქონებაზე უძრავის არარსებობის შესახებ №ყად-18418/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ).

5. ამხანაგობის მონაწილენი ადასტურებენ, რომ საერთო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში (რომელიც შეიტანეს ამხანაგობაში) მხარეებს აქვთ განსხვავებული წილები (მითითებული ამ მუხლის მომდევნო პუნქტში) მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი არ არის იურიდიულად გაფორმებული და რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. შესაბამისად, მხარეებმა ამხანაგობის ფარგლებში ამხანაგობაში შეტანილი უძრავი ქონების სანაცვლოდ მისაღები ქარიშხლის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინეს განსხვავებული წილების არსებობა.

5. მხარეები ადასტურებენ, რომ მათ უძრავ ქონებაში, რომელიც შეიტანეს ამხანაგობაში, აქვთ შემდეგი წილები:

ა) აბესალომ ქავჭაიას –

– №7 შენობა-ნაგებობა და მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია დაახლოებით 601 (ექვსას ერთი) კვ. მ.

– №11 და №9 შენობა-ნაგებობების მომიჯნავე მიწის ნაკვეთი (ბაღი), რომლის ფართია დაახლოებით 80 (ოთხმოცი) კვ. მ.

– №12 და №14 შენობა-ნაგებობები, ამ ნაგებობების მოშენების ტერიტორია და მიმდებარე მიწის ნაკვეთი (ეზო), რომლის ფართია დაახლოებით 200 (ორასი) კვ. მ.

ბ) თამარ ფცერაძეს – შენობა-ნაგებობანი №№6; 15; 16; 17; 18; 19; 20; 21; 22, ხოლო შენობა-ნაგებობანი №№23-24 უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე, ამ ნაგებობების მოშენების ტერიტორია და მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია დაახლოებით 2261 (ორიათას ორას სამოცდაერთი) კვ. მ.

გ) ჰაიტა რუხაძეს – №№2; 8; 9; 10; 11, ხოლო №№25; 26 და 27 – უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე – ამ ნაგებობების მოშენების ტერიტორია და მიმდებარე მიწის ნაკვეთი (ეზო), რომლის ფართია დაახლოებით 683 (ექვსას ოთხმოცდასამი) კვ. მ.

დ) იური გეტმანსკის – №№3; 4; 5, ხოლო №28 – უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე – ამ ნაგებობების მოშენების ტერიტორია და მიმდებარე მიწის ნაკვეთი (ეზო), რომლის ფართია დაახლოებით 727 (შვიდას ოცდაშვიდი) კვ. მ.

ე) ჰაიტა რუხაძის, თამარ ფცერაძისა და აბესალომ ქავჭაიას საერთო საკუთრება – №13 შენობა-ნაგებობა, ან ნაგებობის მოშენების ტერიტორია და მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია დაახლოებით 244 (ორას ორმოცდაოთხი) კვ. მ.

ვ) ჰაიტა რუხაძის, აბესალომ ქავჭაიას, თამარ ფცერაძისა და იური გეტმანსკის საერთო საკუთრება – მიწის ნაკვეთი, რომლის ფართია დაახლოებით 385 (სამას ოთხმოცდახუთი) კვ. მ. და რომელიც მოიაზრებულია დაახლოებით №7, №25-26, №6, №13, №3-4 შენობებს შორის.

6. ამხანაგობის მონაწილეთა შენატანები საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ხდება ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრება. საერთო საკუთრება იქნება აგრეთვე ამხანაგობის საქმიანობის ფარგლებში შეძენილი ქონება და უფლებები, ასევე ის ანაზღაურება, რომელსაც მიიღებს ამხანაგობა ამხანაგობის საერთო საკუთრებაში არსებული ქონების დაზუსტების (განადგურების) შემთხვევაში.

აბესალომ ქავჭაია
ჰაიტა რუხაძე
იური გეტმანსკი
თამარ ფცერაძე

შესაბამისად, საჯარო რეესტრში მიეთითება, რომ მიწის ნაკვეთი (მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებითურთ) არის ამხანაგობა „ხეივნის" (რომლის წევრები არიან პაატა რუხაძე, აბესალომ ქაჯაია, თამარ ფერაძე და იური გეტმანსკი) საერთო საკუთრება

მუხლი 4.
ბინების გადანაწილების წესი

1. ამხანაგობის მონაწილეებმა ამხანაგობაში შეტანილი უძრავი ქონების სანაცვლოდ უნდა მიიღონ შემდეგი ფართები:

1) აბესალომ ქაჯაია (დაბადებული 09.04.1933 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №12, პირადი №01015020170) – 1262 (ერთი ათას ორას სამოცდაორი) კვ. მ.

2) თამარ ფერაძე (დაბადებული 20.11.1948 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №12, პირადი №01015022299) – 2405 (ორი ათას ოთხას ხუთი) კვ. მ.

3) პაატა რუხაძე (დაბადებული 23.11.1981 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №12, პირადი №01016008596) – 783 (შვიდას ოთხმოცდასამი) კვ. მ.;

4) იური გეტმანსკი (დაბადებული 22.09.1954 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №10, პირადი №01015021403) – 727 (შვიდას ოცდაშვიდი) კვ. მ.

2. ამ მუხლის წინა პუნქტში მითითებული ფართები გულისხმობს მხოლოდ საცხოვრებელ და/ან კომერციულ (სავაჭრო, საოფისე) ფართს და მასში არ შედის აუტოსადგომი/ავტოფარეხი, აივანი. ამ დანიშნულების ფართების ოდენობა, რაც უნდა მიიღოს ამხანაგობის თითოეულმა მონაწილემ, დაზუსტდება სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცებისას.

3. იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი სახლის პროექტი ისე შედგება, რომ გაითვალისწინებული იქნება მანსარდის არსებობა, მაშინ ამხანაგობის მონაწილენი დამატებითი შეთანხმების გარეშე მიიღებენ მანსარდის საერთო ფართის ოცდახუთ პროცენტს, რომელიც ამხანაგობის მონაწილეთა შორის განაწილდება იმ პროპორციით, რა პროპორციაც არსებობს ამ მუხლის პირველ პუნქტით დადგენილ და ამხანაგობის წევრების მიერ მისაღებ ფართებს შორის.

4. სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ თითოეული მონაწილის მიერ მისაღები ფართის შესახებ შეიძლება საჯარო რეესტრში გაკეთდეს წინასწარი ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. წინასწარ ჩანაწერში მიეთითება ის ფაქტი, რომ ბინა/ფართი არის მშენებარე, აგრეთვე მიეთითება შემდეგი მონაცემები: ბინის/ფართის მომავალი მესაკუთრის ვინაობა (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, ან საფირმო სახელწოდება, მისაღები ბინის ნომერი, სართული, სადარბაზო/ფლიგელი, ფართობი, მომავალი მესაკუთრის მიერ ბინასთან დაკავშირებული შესასრულებელი ვალდებულება ან ვალდებულების არარსებობა.

5. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება საცხოვრებელი სახლში არსებული ინდივიდუალიზებული ფართების მესაკუთრეთა საერთო საკუთრება ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული საერთო ფართების პროპორციულად.

მუხლი 5.
მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი

1. თითოეულ დამფუძნებელს ამხანაგობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს.

წილის გასხვისება საჭიროების სანოტარო წესით დამოწმებას და საჯარო რეესტრში აღრიცხვას.

2. წილის გაყიდვის შემთხვევაში თითოეულ დამფუძნებელს აქვს მესამე პირისათვის გაღასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

3. დამფუძნებელი, რომელიც აპირებს წილის (წილის ნაწილის) მესამე პირისათვის მიყიდვას, ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს წილის გამყიდველის ვინაობა, ნასყიდობის ფასი და ნასყიდობის ფასის გადახდის ვადა, აგრეთვე უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების ვადა.

ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია, შეტყობინების მიღების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ამხანაგობის მონაწილეებს;

წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ უფლებამოსილმა პირმა (ამხანაგობის მონაწილე, რომელიც აპირებს წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებას) თავისი თანხმობა წილის შესყიდვის შესახებ უნდა წარუდგინოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარეს წარედგინა წინადადება წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ, თავმჯდომარე ვალდებულია, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს წილის გამყიდველს.

იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარეს არ წარედგინა წინადადება/წინადადებები წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესახებ, თავმჯდომარე ვალდებულია წილის უპირატესი შესყიდვის ვადის ამოწურვიდან სამ დღეში გასცეს ცნობა იმის შესახებ, რომ ამხანაგობის წევრმა მონაწილემ უარი განაცხადა შეთავაზებული წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე. არსებობს ამ ცნობის სიზუსტისა და კანონიერების პრეზუმფცია, ე. ი. ითვლება, რომ თავმჯდომარის მიერ გაცემულ ცნობაში მითითებული ფაქტები ზუსტია და წილის გაყიდვის წესი პროცედურა, დადგენილი წინამდებარე ხელშეკრულებით, ზუსტად იქნა დაცული. შესაბამისად, წილის მყიდველი ითვლება კეთილსინდისიერ შემძენად გარდა იმ შემთხვევისა, როცა მან იცოდა, ან უნდა სცოდნოდა პროცედურების დარღვევის ფაქტი.

4. დამფუძნებელთა ის მოთხოვნები ერთმანეთის მიმართ, რომლებიც გამომდინარეობს წინამდებარე აქტიდან, არ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.

მუხლი 6.
ამხანაგობის ხელმძღვანელობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობის საქმეებს გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე.

2. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობა წარმოადგინოს დამოკიდებულებლად, მათ შორის, სასამართლოსა და სახანძრო ურთიერთობებში, დადოს გარიგებები ამხანაგობის წევრთა თანხმობის გარეშე, გარდა ამ მუხლის მომდევნო პუნქტით დადგენილი შეზღუდვებისა.

3. ამხანაგობის სახელით შემდეგი გარიგებები დაიდება მხოლოდ ამხანაგობის ყველა წევრის თანხმობით:

ა) ამხანაგობის მიერ კრედიტის (სესხის) აღებისა და კრედიტის (სესხის) უზრუნველყოფის (ასეთის არსებობა და სხვა) ხელშეკრულება;

ბ) ამხანაგობის მიერ თავდებობის წერილის გაცემა, ან სხვა მსგავსი გარიგება, მესამე პირთა გარანტიის (თავდებობის) მიღება.

გ) ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განსხვისების ხელშეკრულება.

დ) ხელშეკრულება, რომელსაც დადებს ამხანაგობა მესამე პირთან საცხოვრებელი სახლის აშენების შესახებ. ამხანაგობის მონაწილეთა გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემის შესახებ, უნდა დაერთოს ხელშეკრულების პროექტი,

რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს ამხანაგობის ყველა წევრმა. შესაბამისად, ამხანაგობის თავმჯდომარეს არ აქვს უფლება, შეცვალოს ამხანაგობის მონაწილეთა მიერ მოწონებული ხელშეკრულებით დადგენილი პირობები.

ე) ამ აქტით დადგენილი სხვა გარიგება.

4. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია, უზრუნველყოს ამხანაგობის საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

5. ამხანაგობის თითოეული წევრი (მონაწილე) უფლებამოსილია თავმჯდომარისაგან მოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი), დაკავშირებული ამხანაგობის საქმიანობასთან.

6. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუწიოს ამხანაგობის საქმიანობას, იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის გამო.

7. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

8. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულია **თამარ შერაძე** (დაბადებული 20.11.1948 წ. თბილისში, მკვიდრება მისამართი: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №12, პირადი №01015022299, პირადობის მოწმობა: №а 0701777, გაცემული 01.06.2005 წ. თბილისის კრწანისის სსრ სამსახურის მიერ).

9. ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლა არ საჭიროებს ცვლილების შეტანას წინამდებარე აქტში.

მუხლი 7.
გადაწყვეტილებათა მიღების წესი

1. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) გადაწყვეტილებას იღებენ წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საერთო წევრთა ერთი მესამედის ხმათა უმრავლესობით, თუ დადგენილი არ არის გადაწყვეტილების ერთხმად მიღება.

2. ერთ დამფუძნებელს (მონაწილეს) აქვს ერთი ხმა მოუხედავად მისი წილისა (წილის ღირებულებისა).

3. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილება შეაქვს ამხანაგობის მონაწილეთა საერთო კრებას მონაწილეთა საერთო რაოდენობის ხმათა უმრავლესობით. ამასთანავე, თუ საკითხი უშუალოდ და პირდაპირ ეხება რომელიმე მონაწილეს (მისი ვალდებულების შეწყვეტა-გაგრძელება, ან სხვა მსგავსი საკითხები), მაშინ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ამ მონაწილის თანხმობა.

მუხლი 8.
დამფუძნებელთა (მონაწილეთა) პასუხისმგებლობა

1. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) солидარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი ვალებისათვის მესამე პირების წინაშე.

2. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს (მონაწილეს) მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

3. დამფუძნებლები (მონაწილეები) ვალდებულნი არიან, არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

4. ამხანაგობის თითოეული მონაწილე პასუხს აგებს ამხანაგობის სხვა წევრებისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამასთანავე, ეს ზიანი არ შეიძლება დაიფაროს ამხანაგობის მიერ მიღებული შემოსავლებით.

მუხლი 9.
ამხანაგობიდან გასვლის წესი

1. თითოეულ დამფუძნებელს (მონაწილეს) უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაეიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე, ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს, ან ისეთ გარემოებებში, რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

ამხანაგობიდან გამსვლელი ვალდებულია გასვლის შესახებ გასვლამდე წერილობით აცნობოს ამხანაგობის თავმჯდომარეს.

2. ამხანაგობიდან ერთ-ერთი დამფუძნებლის (მონაწილის) გასვლისას გასული მხარის წილი ნაწილდება დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) შორის მათი წილების პროპორციულად, თუ დამფუძნებლები (მონაწილეები) ერთხმად არ დაადგენენ წილების განაწილების სხვა პროპორციას.

3. გამსვლელ დამფუძნებელს (მონაწილეს) უნდა მიეცეს თავისი წილის ფულადი კომპენსაცია. კომპენსაციის ოდენობა დგინდება ამხანაგობის ბალანსზე არსებული ქონების საბალანსო ღირებულებიდან. ამასთან, მხედველობაში მიიღება გასვლის დროისათვის შეუსრულებელი გარიგებები (ამხანაგობის ვალდებულებები).

4. თუ გასვლის დროისათვის ამხანაგობის საერთო ქონება ვერ ფარავს ამხანაგობის საერთო ვალებს, გამსვლელი დამფუძნებელი (მონაწილე) ვალდებულია ვალების დაფარვის მიზნით დარჩენილ დამფუძნებლებს (მონაწილეებს) გადაუხადოს თავისი წილის შებამისი თანხა. გამსვლელი დამფუძნებლის (მონაწილის) ვალდებულება გასვლის მომენტში არსებული კრედიტორების წინაშე უცვლელია.

მუხლი 10.
ამხანაგობის ვადა

1. ამხანაგობა შექმნილია საცხოვრებელი სახლის აშენების ვადით.

2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი (მონაწილე);

ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგადასახადო ბაჭის გახსნით;

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

3. ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის (მონაწილის) უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილს იკავებს მემკვიდრე.

4. ერთ-ერთი მონაწილე-ფიზიკური პირის (დამფუძნებლის) არაქმედუნარიანად გამოცხადება არ იწვევს ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტას. არაქმედუნარიანად ცნობილი პირის უფლებებს განახორციელებს მისი მეურვე.

მუხლი 11.
ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის წესი

1. ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, შემდეგ დაიფაროს არსებული ვალები, თუ ამხანაგობის საქმიანობით მიღებული შემოსავლები არ არის საკმარისი ვალების დასაფარავად, დამფუძნებლები (მონაწილენი) ვალდებულნი არიან ვალები დაფაროს თავიანთი ქონებიდან მათი წილების პროპორციულად.

2. იმ შემთხვევაში, თუ ამხანაგობის მიზანი ვერ იქნება მიღწეული და ამ საფუძვლით მოხდება ამხანაგობის ლიკვიდაცია, ამხანაგობის ვალდებულებების შესრულების შემდეგ

სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის №23403/2006, თარიღი: 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ აბესალომ ქავჯაიასათვის).

2) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის №23403/2006, თარიღი: 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ პაატა რუხაძისათვის);

3) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის №23403/2006, თარიღი: 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ იური გეტმანსკისათვის);

4) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ, უძრავი ქონების სარეგისტრაციო №1/18/5/3/52, განაცხადის რეგისტრაციის №23403/2006, თარიღი: 04.05.2006 (დანართი საკადასტრო რუკა) (ამონაწერი გაცემული მხოლოდ თამარ ფერაძისათვის).

5) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ №ყად-18415/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

6) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ №ყად-18416/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

7) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ №ყად-18417/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

8) ცნობა ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ №ყად-18418/2/06 (გაცემული 23.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის მიერ);

ამასთან, სანოტარო აქტი – მინდობილობა (დამოწმებული 27.04.2006 წ. ნოტარიუს ვულიეტა არჩვაძის მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №1-1571) – ინახება ბეჭს სანოტარო არქივში როგორც დანართი დოკუმენტისა: სანოტარო აქტი უძრავი ქონებიდან ნაწილის გამოყოფის შესახებ (მიღებული 27.04.2006 წ. ნოტარიუს ოთარ ნოდიას მიერ, რეგისტრირებული რეესტრში: №1-1170).

სანოტარო მომსახურების ხარჯები:

2455,0 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ანაზღაურების შესახებ საქართველოს კანონის (11 ივნისი, 1998 წ. №1417 II ს) მე-5 და 22-ე მუხლებისა;

მე, ნოტარიუსმა, ამხანაგობის დამფუძნებლებს (მონაწილეებს) წაეუკითხე წინამდებარე აქტი და განეუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. დამფუძნებლებმა (მონაწილეებმა) წაიკითხეს წინამდებარე აქტი, განაცხადეს, რომ იწონებენ მას და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ყოველივე ზემოთქმულს ვამოწმებ ჩემი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.



დარჩენილი ქონება (თუკი იგი ლიკვიდაციის შემდეგ არ გამოყა ამხანაგობის მონაწილეთა საერთო საკუთრებიდან – ამხანაგობის ვალების დაფარვის მიზნით მისი რეალიზაციის შედეგად) განაწილდება ამხანაგობის მონაწილეებს შორის შემდეგი წესით:

ა) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდა მშენებლობის დაწყებამდე, მაშინ მიწის ნაკვეთი სრულად დარჩება ამხანაგობის იმ მონაწილეს, რომელმაც შეიტანა მიწის ნაკვეთი ამხანაგობაში.

ბ) თუ ამხანაგობის ლიკვიდაცია მოხდება მშენებლობის დაწყების შემდეგ, მაშინ ამხანაგობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გაიყოფა ამხანაგობის მონაწილეთა მიერ ფაქტიურად გაღებული ხარჯების (ამხანაგობაში განხორციელებული შენატანების) პროპორციულად.

3. ამხანაგობის მონაწილეებს უფლება აქვთ, დარჩენილი ქონება გაყიდონ და ამ მუხლის წინა პუნქტით დადგენილი წესით გაინაწილონ გაყიდვით მიღებული თანხა.

მუხლი 12.
ამხანაგობის წიგნი და მისი წარმოების წესი

1. ამხანაგობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით ამხანაგობამ შეიძლება ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოოს ამხანაგობის წიგნი, რომელიც უნდა იყოს ზონრაგაკრული და დანომრილი. ზონრის შეკვრის ადგილზე ხელი უნდა მოაწერონ წიგნის წარმოებაზე პასუხისმგებელმა პირებმა.

2. ამხანაგობის წიგნის წარმოების მიზანია:

ა) ამხანაგობის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის აღრიცხვა;

ბ) ამხანაგობის წევრთა მიერ ამხანაგობაში შენატანების შეტანის მდგომარეობის (შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებების) ზუსტი აღრიცხვა;

გ) ამხანაგობის საქმიანობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება ამხანაგობის წევრების მიერ, ხოლო ამ მუხლით დადგენილ შემთხვევაში და წესით – მესამე პირების მიერაც;

დ) წინამდებარე აქტში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, ამხანაგობის წევრთა ცვლილებების ასახვა;

ე) ამხანაგობის მიერ ასაშენებელი საცხოვრებელი ბინების მიღებაზე უფლებამოსილი ამხანაგობის წევრების ზუსტი აღრიცხვა და ორმაგი გაყიდვების შესაძლებლობის გამორიცხვა.

3. ამხანაგობის წიგნი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

ა) პირველი ნაწილი – "ამხანაგობის დამფუძნებელი დოკუმენტაცია", რომელშიც უნდა ჩაიწეროს:

– ამხანაგობის დამფუძნებელი აქტისა (წინამდებარე აქტის) და მასში ცვლილებების შეტანის აქტის ზუსტი დასახელება, აგრეთვე ბინების განაწილების აქტი;

– აქტის შედგენის თარიღი;

– აქტის მიმღები (დამმოწმებელი) ნოტარიუსის სახელი და გვარი და სანოტარო მოქმედებების რეგისტრაციის ჟურნალში აქტის რეგისტრაციის ნომერი;

– აქტის მოკლე შინაარსი;

ბ) მეორე ნაწილი: "ამხანაგობის წევრთა შემადგენლობა", რომელშიც უნდა ჩაიწეროს:

– ამხანაგობის წევრის სახელი და გვარი, იდენტიფიკაციის მონაცემები (დაბადების ზუსტი თარიღი, პირადობის დამდგენი დოკუმენტის რეკვიზიტები);

– ამხანაგობის წევრთა ვალდებულებები (შესრულებული და შეუსრულებელი ვალდებულებები);

– ინფორმაცია ამხანაგობიდან გასვლის შესახებ (ამხანაგობიდან გასვლის თარიღი, გასვლის შესახებ აქტი და მისი რეკვიზიტები);

– ინფორმაცია ამხანაგობიდან გასული წევრის მიმართ ანგარიშსწორების შესახებ;

გ) მესამე ნაწილი: "ბინების/ფართების განაწილების შესახებ ინფორმაცია":

– ბინის ნომერი, სადარბაზო, სართული და ბინის ფართობი, სარდაფი, ავტოსადგომი (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი ფართობი;

– პირი, რომელსაც აქვს უფლება ბინაზე (პირის სახელი და გვარი და იდენტიფიკაციის მონაცემები).
– შენიშვნა.
დ) მეოთხე ნაწილი: "ამხანაგობის წევრთა კრებები:"
– ამხანაგობის წევრთა კრების რიგითი ნომერი;
– ამხანაგობის წევრთა კრების ჩატარების თარიღი;
– ამხანაგობის წევრთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.
ე) მეხუთე ნაწილი: "ამხანაგობის თავმჯდომარე:"
– ამხანაგობის თავმჯდომარის სახელი და გვარი (იდენტიფიკაციის სხვა მონაცემები);
– ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის თარიღი;
– შენიშვნა (ამხანაგობის თავმჯდომარის შეცვლის შესახებ ინფორმაცია);
5. ამხანაგობის წიგნის თითოეული ნაწილი, გარდა ამ მუხლის მეოთხე პუნქტში მითითებული გრაფებისა, შეიცავს შემდეგ გრაფებს:
– ამხანაგობის წიგნში ჩანაწერის შესრულების საფუძველი (აქტი, დოკუმენტი და მისი რეკვიზიტები)
– ამხანაგობის წიგნის შესაბამის ნაწილში ჩანაწერის თარიღი;
– ამხანაგობის წიგნის შესაბამის ნაწილში ჩამწერი პირის ხელმოწერები.
6. ამხანაგობის წიგნს ამ მუხლით დადგენილი წესით აწარმოებს ამხანაგობის თავმჯდომარე. იგი პასუხს აგებს ამხანაგობის წიგნის სწორი და ზუსტი წარმოების უზრუნველყოფაზე.
7. ამხანაგობის წიგნში ჩანაწერს მესამე პირების მიმართ აქვს ნამდვილობისა და კანონიერების პრეზუმფცია გარდა იმ შემთხვევისა, როცა მესამე პირმა იცოდა ჩანაწერის უზუსტობისა ან უკანონობის შესახებ.
8. ამხანაგობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ამხანაგობის წიგნი შეხანახად ჩააბაროს ნოტარიუსს.

მუხლი 13.
დასკვნითი დებულებანი

1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან.
2. წინამდებარე აქტში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე.
3. წინამდებარე აქტის მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს იმ მუხლების გაუქმებას, რომლებითაც დადგენილია დამფუძნებელთა (მონაწილეთა) ვალდებულებები ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.
4. ვალდებული მხარის პასუხისმგებლობა გამორიცხულია, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებებით. ამასთანავე, ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ვალდებულ მხარეს არ ათავისუფლებს ფორს-მაჟორული გარემოებების დასრულების შემდეგ ძირითადი ვალდებულების შესრულებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობისაგან."

ეგზემპლარები:

წინამდებარე აქტი შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, რომელიც შეინახება აქტის მიხედვით ნოტარიუსის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცემათ ამხანაგობის ხელმძღვანელებს.

დანართები:

წინამდებარე აქტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 8 (რვა) დოკუმენტი:

1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) შესახებ, გაცემული 19.05.2006 წ. საჯარო რეესტრის ერთიანი სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო

რეგისტრირებულია სანოტარო აქტების საერთო რეესტრში: №1- 650

ორიათას რვა წლის ოცდასამ თებერვალს მე, ოთარ ზოიძემ, ნოტარიუსმა ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შარვანიშვილის ქუჩა №5, მეორე სართული, ოთახი №26-27, დავამოწმე სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირების – **თამარ ფერაძისა** (დაბადებული 20.11.1948 წ. თბილისში, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, მეორე ხეივნის ქუჩა №12, პირადი №01015022299, პირადობის მოწმობა: №а 0701777, გაცემული 01.06.2005 წ. თბილისის კრწანისის სმრ სამსახურის მიერ), და **დავით ძაბანელის** (დაბადებული 10.01.1965 წ, თბილისი, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, არ. ჭურდიანის ქუჩა №11, ბინა №12, პირადი №01030007539, პირადობის მოწმობა №დ 1090208, გაცემული სარ-ის დიდუბის სამსახურის მიერ 03.10.2007 წ.) ხელმოწერების ნამდვილობა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე.

ხელმოწერები შესრულდა ჩემი თანდასწრებით პირადად ხელმომწერების მიერ მას შემდეგ, რაც მათ განემარტა ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები.

სანოტარო მომსახურების ხარჯები: 1287,90 ლარი.
მათ შორის:
ა) 1267,90 ლარი პროექტის მომზადებისათვის.
ბ) 20,0 ლარი ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმება (ხუთ ეგზემპლარად) (5 ლარიX4=20 ლარი)

საფუძველი: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-3, მე-14.2, 22-ე, 23-ე, 26-ე და 29-ე მუხლები.

ნოტარიუსი ოთარ ზოიძე